

1971

ნოემბერი

№ 22 (1368)

საქართველოს
ქუჩა

გამოცემის 48-ე წელი ფასი 20 კპ.



ქართული

წიგლითა და ხმით

საქართველოს ჟურნალისტიკა

საქართველოს სსრ ჟურნალისტიკა IV პრილუგის აღსანიშნავად

კვლავაც
ასე
გრგინავდეთ,
ჰქუხდეთ,
უნთოთ,
შფოთავდეთ...
შესაქებარს — აქებდეთ,
გასაკიცხავს — კიცხავდეთ,
შესამუსრავს — მუსრავდეთ
და დასაცავს — იცავდეთ!
ყველგან თქვენი თვალები
შრომის ცეცხლით ანთია
და იბრძვიან, სადაც კი
მანკია და ნაკლია,
ეგ თვალები ამჩნევენ,
ეგ თვალები არჩევენ...
ეგ თვალები ამ დღეთა უტყუარი სარკეა!

თქვენს ხმას ყველგან ელიან
და თქვენს მზერას ელვიანს —
გაზეთია,
ჟურნალი,
რადიო თუ
ტელე...
სად ჩანს შუკი ან ჩრდილი —
იციტ ზუსტი გაგება,
ან რას ხოტბა სჭირდება,
ან რას კიდევ ძაგება!
თქვენ ხართ ჩვენი ეპოქის
მგრძნობიარე ნერვები.
ქვეყნის სადარაჯოზე
კვლავ ერთგულად დგებოდეთ,
კვლავ ახარეთ სიკეთის
და მშვიდობის ნერვები,
ნურც გვენახოს, თქვენს კალამს
ჟანგი მოჰკიდებოდეს!



აღმდგენი და გამომცემი

— ხელაძე გიორგი ერთი ვაჟი მოვიპარე და დღევანდელ გა-
ზეთში ფელეტონი გაუშინებელიათ!



— ეს ავტორი შურნალიდან კი ამოვარდ, მაგრამ კამ-
დან ვერ გამოვარდ!



— რაც შენ რედაქციას საჩივრებს სწერ, წესით, შურნა-
ლისტთა კავშირში უნდა მიგიღონ!

კეთილშობილური საქმიანი

1000-არ გვარი დაუხსრა...

(პაროდია)

2-შაბათი იყო. მირონ ალვაძე და მისი ხუთი
სპორტსმენი ვაჟიშვილი მდინარე „ვერეს“ ნაპი-
რას მიდიოდნენ. უცებ მირონს ფეხი დაუცდა და
მდინარეში გადავარდა. მიშველეთ, ვიხრჩობიო! —
დაიძახა მირონმა. ხუთი ვაჟკაცი არც კი დაფიქ-
რებულა, ისე გადაეშვა მდინარეში მამის გადა-
სარჩენად. სწორედ ამაზე იტყვიან, ვაჟკაცა გუ-
ლით რკინისა, აბჯარი თუნდა ხისათ. ასე გამო-
სტაცეს აღმზრდელი მამა მდინარე „ვერეს“ ტალ-
ღებს კეთილშობილმა შვილებმა. დაუფასდა მამას
ამაგი, 2-მ ა გ ა დ გაიხარა და შვილებს მხურვა-
ლე მადლობა გადაუხადა. ლომივით ვაჟკაცებმა
ნაზად დახარეს თავი. შვილებს არ უნდოდათ, ეს
შემთხვევა საქვეყნოდ გამხდარიყო ცნობილი, მაგ-
რამ მამამ იმარჯვა და რედაქციას დაწერილებით
უამბო შვილების გმირობის ამბავი. სწორედ ამა-
ზეა ნათქვამი: 1.000-ად გვარი დაუხსრა,
10.000-ად ზრდილობაო...

ძვირფასო ჩაღაქცია?

წარსულ 5-შაბათს რუსთაველის პროსპექ-
ტზე მოვლიოდი, ხელში 2-ცხოხილებით
სავსე ხელჩანთა მეჭირა. უცებ ხელჩანთა გაში-
ვარდა. დახრა ვერც კი მოვასწარი, რომ ვიღაც
ყმაწვილი იქვე გაჩნდა, ჩანთა აიტაცა და მომა-
წოლა.

ვინ ბრძანდებით-მეთქი?! — ვკითხე მშვენიერ
ჭაბუკს.

რა საჭიროა ვინაობის გამხელაო, — ჩაიღიმა
მორცხვად და წავიდა.

განა შეიძლება, 2 აზრი არსებობდეს ამ
ახალგაზრდის კეთილშობილებაზე?

ძვირფასო რედაქციავ, იქნებ მომეხმაროთ ამ
ახალგაზრდის ვინაობის დადგენაში?

რედაქციისაგან: კეთილშობილო და ზრდილო
ჭაბუკო, როცა ამ წერილს წაიკითხავთ, იქნებ, მა-
შინ მაინც დასძლიოთ ესოდენ მისაბამი თავმდაბ-
ლობა და გამოცხადდეთ რედაქციაში ინტერვიუს
ჩამოსართმევად!

პაგიოსნებას ამახს კჳნია...

ეს ამადლეველები ამბავი ამ 2-ოდე დღის
წინ მოხდა. ტაქსის მძღოლმა სურენ ნავროზა-
შვილმა თავის მანქანაში იპოვა ქალის ჯიბის ჩან-
თა („სუმოჩკა“), რომელშიც აღმოჩნდა 2 მან. 17
კაპ., დაზღვეული წერილის ქვითარი და სამი მარ-
კა. აგრეთვე ერთი ტაბლეტი „კალცეჰსი“. სურენ
ნავროზაშვილი არც კი დაფიქრებულა, დირექ-
ციას ისე ჩააბარა ნაპოვნი თანხა და ნივთები.

ნათქვამია, გველსა სვრელით ამოიყვანს, ენა
ტკბილად მოუბარიო. 2-მ ა გ ი გამოდგა სურენ
ნავროზაშვილის სიხარული, დირექციამ მადლობა
გამოუცხადა, თანაც აღმოჩნდა, რომ დაკარგული
ჩანთა მისი ცოლისა ყოფილა.

დიდო პატარაია

1978 წლის 10-11 თვე 1978 წლის 10-11 თვე

სატირული-იუმორისტული სალონი

რედაქციაში

— თქვენ ბრძანდებით, პატივცემულო, ბიძაჩემზე დაწერილი ნარკვევის ავტორი?

— კი, ბატონო, მე ვარ!

— მოვედი, რათა მაღლობა გადაგიხადოთ საყვარელი ბიძის ესოდენ დიდი დაფასებისათვის, ოღონდ...

— რას ლაპარაკობთ, ბიძა-თქვენი ისეთი ადამიანია, მეტსაც იმსახურებს...

— ნარკვევი, პატივცემულო, არაჩვეულებრივი იყო, ოღონდ...

— რაიმე ფაქტი ხომ არ არის დამაზიანებელი?

— როგორ გეკადრებათ, ყველაფერი რიგზეა, ოღონდ...

— გულახდილად მითხარით, ჩვენ შეცდომებზე ვსწავლობთ!

— არავითარი შეცდომა, პატივცემულო, ოღონდ...

— მითხარით, მითხარით, არ მეწყინება!

— ორი წელია, ბიძაჩემი იმ ადგილზე აღარ მუშაობს...


— გადაიყვანეს სადმე?

— დიან, სასაფლაოზე.

— როგორ?

— ორი წლის წინ თქვენი ქორი წაიღო...

გიაშომანი საოპერაციოში



— ავტოკალამი რამ გადაგყლაპინა, შე კაცო?!

ჩვევა-ღარიბება ზოგიათ კოდეკსი

- წმინდა მხოლოდ გაზეთისთვის, იგი ჟურნალზე ადვილად იხევა!
- წერე თანავტორთან ერთად, გადასაბრალეზად მაინც გამოგადგება!
- გაუფრთხილდი სახელს! ამისათვის არსებობს ფსევდონიმები!
- ჰონორარი სიყვარულსა ჰგავს. სიყვარულს კი მაღლა უნდა!
- თავიდანვე შეურიგდი აზრს, რომ ბოლოს რომანისტი გახდები!
- იფიქრე რედაქტორობაზე, ოღონდ ჩუმად!
- გახსოვდეს, რომ არის შემთხვევები, როცა რედაქტორი ჟურნალისტიცაა!

ჟურნალისტური სიტყვის კონა

დაწყება ჟურნალისტი — რომელიც დიდხანს უნდება სამუშაოს დაწყებას.

ინტერვიუ — ჟურნალისტის საუბარი საკუთარ თავთან.

კორმპტორი — ადამიანი, რომელიც შეცდომებზე ვერ სწავლობს.

ნარკვევი — მომხატვრულ ნაწარმოები, რომელიც სრულიად გარკვეულ ვითარებას ზოგჯერ გაურკვევლად გვიხატავს.

სარედაქციო თათბირი — დამატებითი შესვენება.

სამშრომელთა კონფერენცია — ზოგჯერ, რედაქციის მიერ, თავიდან მოსაშორებლად მივლინებაში სპეციალურად გაგზავნილი არასპეციალისტი.

უშტატო კორესპონდენტი — რედაქციაში რომ უსაქმოდ ზის და შტატს ელოდება.

ნახ. 2. აბაშიძისა



ქვის ხანაში

— ქვის გული ამის ამ ჩვენს ფელეტონისტს. მაგისი ნაწარმოები ქვას ხმეთქვას!

ზოგიერთი ჟურნალისტის სამუშაო მაგიდა.

ნახ. 3. კუდიანის



ნახ. 4. აბაშიძისა



— ნეტავ, სულ ასე მიიმა იქნება ჟურნალისტის შრომა?

რედაქტორი შატბერაშვი მხატვრის თვალთა

თეატრის ერთ სუბსიან ღამეს დაახლოებით პირველ საათზე, რიკარდო ტორედოს ქუჩა № 19-ში სილვანო დე შევლიეს იზოლირებული ბინის კარზე მოულოდნელად ვიღაცამ დააკაკუნა... საკინძვალედილი ქალი, ღამის პერანგის ამარა, საწოლიდან გველნაქენივით წამოიჭრა. ათრთოლებულ სხეულზე პენუარი მოისხა და აკანკალებული ხმით ამოიკანავლა:

— ვაიმე, დავიდუპეთ, სილვანო დავადაგა თავზე!

საწოლის კუთხეში მოყუჩულმა, ჭიამდე გაფითრებულმა მამაკაცმა, სარეცლიდან კენჭურუსავით ისკუპა და იატაკზე შლაპანი მოადინა.

— სიმონე, თავს უშველე! — ამოიგმინა ქალმა. თავზარდაცემულ ბანჯგვლიან მამაკაცს ბანჯგვლები უფრო აებურძგლა. ტანსაცმელს ალაღივით დააცხრა, მუხანესივით ამოიღია და ფანჯრის რაფაზე მამალივით შეხტა.

— სიმონე, რას შერებო! არ გადახტე, მეათე სართულია! — შეჰყვირა გაფითრებულმა ქალმა და შიშისაგან თვალები მილულა.

გონებადმდრეული, ბანჯგვლიანი მამაკაცი იატაკზე ჩამოხტა და არაბული ტახტის ქვეშ შეძვრა. მორიდებული კაცუნი მოურიდებელმა ბრაზუნმა შეცვალა. კარის გაღება გარდუვალი იყო. სასოწარკვეთილმა ქალმა ძაღლინე მოიკრიბა და მინახებული ხმით გასძახა:

— სილვანო, ძვირფასო, შენა?

— მე ვარ, ბეატრიჩე, კარი გააღე, ამ შუალამისას რა ძილქუში შეგეყარა, ქალო?

ბეატრიჩემ კარი გააღო, შევლივით ყელი გელივით მოიდგრა, მეუღლეს კისერზე ზურმუხტის ყელსაბამივით ჩამოეკიდა, გადაკოცნა და ნაძალადევი კისკისით წარმოთქვა:

— ჩემო სილვანო, გეფიცები პატიოსნებას, დღეს არ გელოდი! არ მეგონა, თუ ასე აღრე დაბრუნდებოდი მიკლინებიდან.

— ერთბაშად მინდოდა გამეხარებინე! — მრავალმნიშვნელოვნად წარმოსთქვა შეზარხოშებულმა სილვანომ, საწოლს მიუახლოვდა და გულშიჩაკრული, საკინძვალესილი ბეატრიჩე სარეცელზე რბილად დაუშვა.

სილვანომ ფლებოი გაიხადა, ფოსტლები ჩაიცვა, ცოლს ექსპერიმენტული მზერა შეავლო და ანგარიშმიუცემლად შეჰყვირა:

— ბეატრიჩე, ოთახში უცხო მამაკაცის სუნი ტრიალებს!

ბეატრიჩე ღენთივით აენთო, თვალებიდან ნაკვერჩხალი გადმოჰყარა; სამი არშინით უკან დაიხია, ფუნთუშა ხელები თავში წაიშინა და ისტერიკული კვითინით წარმოთქვა:

— დღეს საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ცამდის მართალი, პატიოსანი ქალის ღირსება უპატიოსნო მამაკაცის ხელში პატივყარა!

ცოლის ერთგულებაში დარწმუნებული სილვანო მუხლებზე დაეცა, ათრთოლებულ ბეატრიჩეს ორივე ხელით წელზე ალყა შემოარტყა და ის იყო უტაქტო ზემოებისათვის ბოდიში უნდა მოეხადა, რომ, ამ დროს, ტანში ყრუანტელმა დაუარა, შუბლზე ციკმა ოფლმა დაასხა, სახე დაებრიცა... არაბული ტახტის ქვეშ მამაკაცის ბანჯგვლიანი ფეხი მოჩანდა. გაცოფებული სილვანო სეკრეტერთან მიიჭრა, ხელის კანკალით ფორსაიტების ნაჩუქარი უნებართვო პისტოლეტი გამოიღო, ბანჯგვლიან მამაკაცს ბანჯგვლებში დაუმოხნა და ის იყო უნდა ესროლა,

რომ ამ დროს გუნებაში რაღაც გაივლო... პისტოლეტი ჯიბეში ჩაიდო, ბეატრიჩეს ჩასისხლიანებული თვალი ჩაუკრა და ჩახლეჩილი ხმით წარმოთქვა: ბეატრიჩე, უთხარი, გამოძვრეს! შენი ხათრით ყველაფერს ვაპატიებ. კიდეც კარგი, გვერდები არ დავუტყბრილე. ბანჯგვლებით ვიცანი შენი ცინგლიანი ძმა ვახუშტი.

სახემორღეცილი ბეატრიჩე მთვარესავით გაიბადრა და ნეოესთეტიკური კისკისით აჰყიკიდა.

— აი, ხომ ხედავ, ჩემო სილვანო! ვახუშტი ხმას არ იღებს, საპისტოლეტზე არ გეკარება, კარგია, რომ შეიგნო დანაშაულზე, ტახტის ქვეშ შეძვრა და უკან გამოძვრომას აღარ აპირებს. დილაღე მანდ ეგდება ეგ საძაგელი და ფეხსაც არ მოიცვლის აბა, რა ეგონა, სეიფიდან ზეთისხილის აქციები რომ მოგპარა და ფშატის ფასად გაყიდა!

— კმარა, ბეატრიჩე! განა ღირს, ნერვებში აიშალო წვრლამანისათვის მაშინ, როდესაც წინ მსხვილმანი საქმეები გელის? მე გავალ, შემოსასვლელ კარზე ინგლისური საკეტი მოიშალა, შევაკეთებ, შენ კი სუფრა გაშალე, მანამ ვახუშტიც გამოძვრება და ერთად ვივარდით! — ორთოდოქსალურად წარმოთქვა სილვანომ და ოთახიდან პარადოქსალურად გავიდა.

ბეატრიჩემ დრო იხელთა, ტახტთან მიიჭრა, ოფლში გაწურული, აცანცახებული ბანჯგვლიანი მამაკაცი ფეხებით დაითრია და პანტაუნტით დააყარა:

— სიმონე, მგონი ბეწვზე გადავრჩიო! თავს უშველე, მაგ ყეყეს ჩემი ძმა ვახუშტი ჰგონიხარ. ამაზე უკეთესი შემთხვევა არ მოგვეცემა, დამიმტკიცე, რომ ნამდვილად გიყვარვარ, გამოიჩინე სამაგალითო ვეჟაკობა, რაინდული გამბედაობა, სულერთია, განწირული ხარ, არაფერი გიშველის. სიკვდილი გარდუვალია, ხომ ხედავ, სხვა გზა მაინც არა გაქვს, იხსენი ჩემი პატიოსნება და მეათე სართულიდან გადახტე! ვინ იცის, შეიძლება გადარჩე კიდეც. გაძლევ პირობას, რომ, შენს გარდა, არავიზე გავთხოვდები! იჩქარე, სიმონე. სილვანომ არ შემოგვისწროს, თორემ ორივეს საიჭიოში — ერთს მიქელთან და მეორეს გაბრიელთან — გავვისტუმრებს.

— ბეატრიჩე, გულახდილად მითხარი, მართლა მპირდები, რომ ჩემს გარდა, ცოლად არავის გაყვები? თუ ასეა, მეც გაძლევ პირობას, რომ ლუიზას გავეყრები და სამუდამოდ ერთად ვიქნებით!

სიმონე პასუხს აღარ დაელოდა, პირჯვარი გადაიწერა, ტკბილად ამოიგმინა, ღამის წყვილიდში მალაყი დაატრიალა და ძირს გადაეშვა...

ის იყო, ბეატრიჩემ ფანჯარა მიხურა, ღმერთს მადლობა შესწირა გლდარჩენისათვის და დაბალ ხმაზე ბოშური სიმღერა წამოიწყო, რომ ამ დროს ოთახში სილვანო შემოვიდა.

— ამ შუალამისას რა გამღერებს, ქალო?

— მემღერება და ვმღერე!

— იმღერე, ბეატრიჩე, იმღერე! გელი სიკვდილის წინ მხოლოდ ერთხელ მღერის.

სილვანო „სერვანტს“ მიუახლოვდა, ვისკი გადმოიღო, ჭიქა შეავსო, სულმოუთქმელად გამოსცალა, ჯიბიდან პისტოლეტი ამოიღო და ნიშნისმოგებით შეჰყვირა:

— დადგა შენი აღსასრულის დღე, მოგზაღდე სიკვდილისათვის!

ბეატრიჩეს გაფითრებულ სახეზე აღმურმა გადაუბრინა, ნაძალადეოდ გაიღიმა და შიშნარევი ხმით წარმოთქვა:

— სილვანო, ძვირფასო, შენ, ალბათ, სიცხე გაბოდებს, ახლავე ლოგინში ჩაწევი, მოცვის ნაყენს დაგაღვინებ!

— მოცვის ნაყენი შენს ბანჯგვლიან სიმონეს დააღვინე, წელან ფანჯრიდან რომ გადახტუნე! ახლა შენი რიგია! გადახტე, თუ გინდა ნამუსი შეინახო, შენი სიბილწე არ გავამხილო! პატიოსანი დიასახლისივით გაგასვენო, არისტოკრატიულად დაგმარხო, ქელები გადაგიხადო, შილაფლაგი მოგიხარშო და საფლაზე შევიქვა დაგაღო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანას შევატყობინებ შენს უნამუსობას, ტყეებით დაგცხრილავ, მოკვდები, როგორც რისკიბი, ქმრის მოღალატე, ნამუსგარეცხილი, მშობლებისგან მოძულებული, ნათესავ-მეგობრებიდან გარიყულ-გათახსირებული, უშოლაფლაოდ და უხაშლამოდ გასვენებული...

ათრთოლებული ბეატრიჩე მუხლებზე დაცა, ხელები ზეცისაკენ აღაპყრო და მიცვალებულის ხმით შეჰყვირა:

— მაპატიე, სილვანო!.. ოღონდ ნუ მომკლავ და, დღეიდან, სულ შევიცვლები, ყოველდღე სადილს მოგიმზადებ, შარვალს გავიუთოებ, პერანგს გავირეცხავ, წინდებს დაგიკემსავ, ღილებს დაგიკერებ, დედაშენს სახლში შემოვუშვებ, ძვირფასი ბეწვის ქურქს გავყავი, იმ ფულით საზაფხულო კოსტუმს, იაპონურ ტრანზისტორსა და სანდირო თოფს გიყიდი!


სილვანომ იარაღი ძირს დაუშვა. ჩაფიქრდა, სიხარულით სახე გაუბრწყინდა, მცირეოდენი ღუმლის შემდეგ აცრემლებული თვალით გახედა ცოლს, იარაღი ისევ შემართო და ჩურჩულით წარმოთქვა: გადახტე!

— არ გადახტები! — რატომღაც გაჟიუტდა ბეატრიჩე.

— რახან პატიოსანი სიკვდილი არ გაწყობს, მოკვდი, როგორც უპატიოსნო! — მტკიცე გადაწყვეტილებით შეჰყვირა სილვანომ, ჩახმახი ფეხზე შეაყენა და ის იყო უნდა ესროლა, რომ ბეატრიჩე სარკმელზე შეხტა, საკინძვალე შეიკრა, შინიონი გაისწორა, პენუარის ფოჩით ცრემლები მოიწმინდა, ხელოვნური წამწამები მოიხსნა... სჯობს სიკვდილსა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანო, პერიოკული თავდავიწყებით შეჰყვირა და ღამის წყვილიდში აკრობატული ნახტომით თავდაყირა გადაეშვა.

— ესეც ასე! — სილვანომ ხელები მოიფშვინა, ტელეფონს მიუახლოვდა, ყურმილს დასწვდა და სულმოუთქმელად აკრიფა საჭირო ნომერი: პელოუ, ლუიზა! შენა ხარ, ძვირფასო?... ავიხდა დიდი ხნის ოცნება, სრულიად მარტო გახლავარ... ნუ დაყოვნებ, ახლავე წამოდი!.. საცაა ქმარი მოვა? შენი ქმარი? ხა... ხა... ხა!.. მას, ეტყობა, მართლაც ძალზე მოეჩქარებოდა შინ, იმდენად ჩქარობდა, რომ ესეცაა მეათე სართულიდან გადმოხტა.

ეს მოხდა... თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, სად მოხდა, ან სინამდვილეში მოხდა თუ არა, მთავარი ისაა, რომ შეიძლებოდა ყველგან მოხდარიყო.



ცოცხალი ანკმტა



უსიტყვოდ



- შარშან რისტვის მოხსნეს ეს კაცი?
- მექრთამოვებისთვის!
- ჟელს რით აღიღებინა თავი?
- ქრთამით.

მოკვეთილი

(ლეგენდა წარსულიდან)

არც ისე შორეულ წარსულში,
სულ რაღაც მილიონ წლის წინათ,
თვით ლოკოკინებსაც ჰქონიათ
სამეფო ერთ ლამაზ ტბის პირად...

და მაშინ (დღეს ასე ამბობენ)
ზოგიერთს ნიუარა ჰქონია, —
სულ რაღაც ხუთიოდ ოთახი, —
სათავსოც საკმარი, მგონია.

საუვედურს, აბა, ვინ იტყოდა,
ცხოვრობდნენ, ილხენდნენ ღმერთივით,
მაგრამ ერთ უკუღმართ საღამოს
ერთ-ერთმა იფეთქა ღენთივით:

„რად მინდა ასეთი ცხოვრება,
სიცოცხლე სულ აღარ მიხარის,
ყოველდღე ნერვები მეშლება,
ჩემს წნევას ეს უნდა, მითხარით?!“

ქოხი მაქვს, ვერ ვიტყვი საუვედურს.
თუმცა კი არ გვყოფნის ოჯახში,
ასიოდ კაცი თუ დაჯდება
ლხინის დროს პატარა ოთახში.

მაგრამ მე მაგაზე არ ვამბობ,
ფართს გაეზრდი, თუ მინდა, ვინ მიშლის?!
მე მხოლოდ იმაზე ვბოძოქრობ,
რა ვუყო შვილსა და შვილიშვილს?

უბინოდ მრჩებიან, მგონია,
ძილშიაც მახოდებს ეს ფაქტი,
თუ ცალკე ბინა ვერ ვუშვებ,
ნამდვილად დამარტყამს ინფარქტი!“

ამბობდა სლუკუნით საწყალი,
თან თვლებს კეკლუცად ნაბავდა,
ცრემლს ირგვლივ შადრევნად აფრქვევდა,
ვალიდოლს მარწყვივით ყლაპავდა.

აიკრა გუდა და ნაბადი,
გაცურდა შესაფერ პატივით,
ცრემლებს რომ ნიღბადა ხმარობდა,
საქმეებს აწყობდა კარტივით.

გაჯერდნენ ტბის პირას მცხოვრებნი,
სულ ბოლმით აევსოთ გულები:
„მე შვილთა შვილისთვის დღეს ფიქრობს,
ჩვენ ბინა არ გვაქვს სრულებით!“

დაჯარდნენ, შეიკრნენ ერთბიარად,
ის დიდი ნიუარაც წაართვეს,
მოკვეთეს თავისი ქვეყნიდან,
ცოდვილ სულს დღეს სადღაც დაათრევს.

ამბობენ, მას შემდეგ სულ მოთქვამს,
ტირისო წუწუნა ქალივით
და მიტომ მოსდევს ვერცხლისფრად
ცრემლები ღორწოვან კვალივით...

და ახლა, ნიუარის მაგივრად,
სველ მიწას ხმარობსო სასთუმლად...
მორალი? რას ბრძანებთ, ნუ მკითხავთ,
სიმართლეს მორალი რად უნდა?!

გალერიან მამუკალაშვილი



მთავარი
რედაქტორი
ნოდარ ლუმაბაძე

სარიდაპცო
კოლეგია:

ზ. გოლჭავაძე
(პ/მზ. მღივანი),
ნ. კალაშნიკოვი,
ნ. მაღალაშვილი,
გ. ნიშნაშვილი
(მთავ. რედ.
მთავარი),
ნ. შიშინაძე,
ო. ზედაძე.

საბრძოლო და ილუმინაციის
მუშაობა „ნაწილი“.

თბილისი, სასაზღვრო-
პროცესები № 42.

Тбилисский Сатирико-
юмористический
журнал «Нана».

ტელ. რედაქციის
99-76-69, რედ. მოადგილის
93-49-32.

საერთო განყოფილების
93-10-78.

საპ. კვ. ცვ.ის გამომცემ-
ლობა, ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ.

გადაცემა ასაწყობად
26/X-71-წ.

ხალხმომილია დასა-
ბეჭდად 1/XI-71 წ.

ქალაქის ზომა
70×108 1/8.

ფიქსირებული ფურ-
ცელი 1.

საპროდუქტო-საგამომცემ-
ლო თაბანი 14.

საპ. კვ. ცვ.ის გამომცემ-
ლობის სტამბა.

თბილისი, ლენინის ქ.
№ 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД.-ВА
ЦК КП ГРУЗИИ
ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИ-
НА № 14

შობ. № 3814
შ. 02225

ბირაში 129.200.



კონსერვატულმა მთავრობამ უგულვებელპყო დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის 70 პროცენტის აზრი და პარლამენტს მიაღებინა გადაწყვეტილება „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის შესახებ.

გაზეთებიდან

11
1971

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინდ. 76137

საერთო
ბაზარი



კონტრაბანდი
ბრუნდება

ნ.ს. ბ. ლომიძისა

საერთო ბაზრის ინგლისური გასაღები.